ასეთია საერთო ანგარიში
პარიზმა ნახა ნამდვილი ფეხბურთი

პარიზი. 3 დეკემბერი (ტელეფონით). საფრანგეთის დედაქალაქის სპორტული საზოგადოებრიობის ცენტრში დღეს კვლავ ფეხბურთია. კვლავ თბილისის "დინამო".

საქმე იმაშია, რომ ქართველმა ფეხბურთელებმა პარიზსა და რემსში აჩვენეს სწორედ ის თამაში, რომელიც ასე უყვართ აქაურ მაყურებლებს: სწრაფი, ტემპიანი, დრიბლინგებითა და ფინტებით აღსავსე, საინტერესო. ამიტომ იყო, რომ "პარკ დე პრენსის" სტადიონი 3 დეკემბერს დიდი ინტერესით ელოდა მატჩს საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერს – "ნიმსა" და თბილისის "დინამოს" შორის.

თბილისელთა შემადგენლობაში მოხდა მცირე ცვლილება: ჩოხელის ნაცვლად მარცხენა მცველად თამაშობდა ხოჭოლავა. მატჩი დაიწყო ფრანგების სწრაფი, მაგრამ ხანმოკლე იერიშით. "ნიმი" შეტევას აწარმოებდა თამამად, ენერგიულად. გუნდის ერთ–ერთი ნახევარმცველი წინ იყო წაწეული და აქტიურად მონაწილეობდა საჯარიმო მოედნის სიახლოვეს გათამაშებულ კომბინაციებში. მაგრამ ამ გეგმამ მასპინძლებს წარმატება ვერ მოუტანა, ვინაიდან დინამოელებმა ორივე შუამარბი თავდასხმაში დატოვეს, რომლებიც სწრაფად ახდენდნენ კონტრშეტევის განვითარებას.

მე–12 წუთზე კალოევმა ძლიერი და ზუსტი დარტყმით დაამთავრა ერთ–ერთი ასეთი შეტევა. ანგარიში გაიხსნა – 1:0.

ინიციატივა კარგა ხანს თბილისელთა მხარეს იყო, რომელთა თავდასხმაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ღოღობერიძე და მესხი. შეტევას მარცხენა ფრთიდან ჰქონდა სისტემატური, მეტად მწვავე ხასიათი. "ნიმის" დაცვა და მეკარე როზაკი სრული დატვირთვით მუშაობდნენ. მხოლოდ ტაიმის დასასრულს შეძლეს ფრანგებმა მდგომარეობის გამოსწორება. რამდენიმე უაღრესად ძნელი ბურთი აიღო კოტრიკაძემ.

განსაკუთრებით დაძაბულ და საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა მეორე ტაიმი. საერთო უპირატესობა, უდავოდ, დინამოელთა მხარეს იყო, რომლებმაც ვერ გამოიყენეს რამდენიმე უაღრესად ხელსაყრელი მომენტი კარის სიახლოვეს, თანაც "ნიმის" ყოველი ხაზი იბრძოდა მაქსიმალური ძალით, მაღალი ოსტატობით. თბილისელთა კართან ერთხელ შეიქმნა მდგომარეობა, რომელიც სულ იოლად შეიძლებოდა გოლით დამთავრებულიყო, მაგრამ ამ მძიმე მომენტებში საუკეთესოდ თამაშობდა მეკარე კოტრიკაძე.

ასეთივე მაღალი კლასი აჩვენა მესხმა. მატჩის დასასრულს იგი ბრწყინვალედ გავიდა რამდენიმე მცველს შორის და გაიტანა გოლი, რომელმაც აღტაცება გამოიწვია მათ შორისაც კი, ვინც პირველყოვლისა დაინტერესებული იყო "ნიმის" გამარჯვებაში.

თბილისის "დინამომ" მოიპოვა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება ანგარიშით 2:0. სულ დინამოელებმა საფრანგეთში ჩაატარეს 2 მატჩი (სამივე ეროვნული ჩემპიონატის სათავეში მყოფ გუნდებთან). მათგან წააგეს ერთი და მოიგეს ორი, ბურთების აქტიური ბალანსით – 8:3. ეს ქართული ფეხბურთის დიდი, მეტად დიდი გამარჯვებაა.

ხვალ დინამოელები ჩამოდიან თბილისში.

5 დეკემბერი, 1959 წ.